

ნომენკლატურის გამოყენების წესები

დებულებები დაავადებათა და სიკვდილის მიზეზთა ნომენკლატურის შესახებ (სტატისტიკური მონაცემების შედგენისა და გამოქვეყნების ჩათვლით)

ჯანდაცვის მსოფლიო მეოცე ასამბლეა

ითვალისწინებს რა, ავადობისა და სიკვდილიანობის სტატისტიკის შედარებადი ფორმით შედგენისა და გამოქვეყნების მნიშვნელობას;

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების 2(s) და 21(b), 22 და 64 მუხლების გათვალისწინებით,

1976 წ. 22 მაისს იღებს 1967 წ. ნომენკლატურის წესდებს, რომელიც უნდა განიხილოს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ნომენკლატურის წესდებამ.

მუხლი 1.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს, რომლებმაც ვრცელდება ეს წესდება ქვემოთ მოყვანილი 7 მუხლის შესაბამისად, ეწოდებათ წევრი-ქვეყნები

მუხლი 2.

წევრი-ქვეყნები ავადობის და სიკვდილიანობის სტატისტიკის შედგენისას უნდა ხელმძღვანელობდნენ ავადმყოფობის, გრავმული დაზიანებების და სიკვდილის მიზეზების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის მიმდინარე გადასინჯვით, რომელსაც ამტკიცებს ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეა. ამ კლასიფიკაციას უნდა ეწოდოს ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასიფიკაცია.

მუხლი 3.

ავადობისა და სიკვდილიანობის სტატისტიკის შედგენისა და გამოქვეყნებისას წევრი-ქვეყნები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა ხელმძღვანელობდნენ ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის მიერ კლასიფიკაციის, კოდირების პროცედურის, მოსახლეობის ასაკობრივ ჯგუფებად გადანაწილების, გერიტორიული რაიონების განსაზღვრის და სხვა შესაბამისი განმარტებების და სტანდარტების შესახებ მოცემული რეკომენდაციებით.

მუხლი 4.

წევრი-ქვეყნები ყოველწლიურად უნდა აღგენდნენ და აქვეყნებდნენ სიკვდილის მიზეზთა სტატისტიკას ყოველი კალენდარული წლისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე, რომელზეც ინფორმაცია მოიპოვება და უთითებდნენ ტერიტორიის რა ნაწილს შეესაბამება სტატისტიკური მონაცემები.

მუხლი 5.

წევრი-ქვეყნებმა უნდა შემოიღონ სიკვდილის მიზეზის შესახებ სამედიცინო ცნობის ფორმა, სადაც დაფიქსირდება დაავადებები ან გრავმული დაზიანებები, რომლებმაც გამოიწვიეს სიკვდილი ან ხელი შეუწყოს მას, პირველადი მიზეზის მკაფიოდ მითითებასთან ერთად.

მუხლი 6.

ყოველი წევრი-ქვეყანა ორგანიზაციის მოთხოვნით, წესდების 64 მუხლის შესაბამისად, უნდა აწვდიდეს სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც შედგენილია დებულების შესაბამისად და არ იყო შეგრობილი წესდების 63 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7.

1. აღნიშნული დებულება ძალაში შედის 1968 წ. 1 იანვრიდან.
2. ძალაში შესვლის შემდეგ აღნიშნული დებულება, ქვემოთ ჩამოთვლილი გამონაკლისების გათვალისწინებით, წევრი-ქვეყნებისათვის, რომლებმაც იგი ვრცელდება, ურთიერთშორის და წევრებსა და ორგანიზაციას შორის ურთიერთობაში შეცვლის 1948 წ. ნომენკლატურულ დებულებას და მის შემდგომ გადასინჯვებს.
3. ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის მიერ ამ დებულების 2 მუხლის შესაბამისად მიღებული ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასიფიკაცია შედის ძალაში ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის მიერ დადგენილ ვადაში და, ქვემოთ ჩამოთვლილი გამონაკლისების გათვალისწინებით, უნდა შეცვალოს ყველა წინამორბედი კლასიფიკაცია.

მუხლი 8.

1. ორგანიზაციის წესდების 22 მუხლის შესაბამისად უარის ან შენიშვნების შეგრობინების ვადა შეადგენს 6 თვეს ჯანდაცვის მსოფლიო ასამბლეის მიერ დებულების მიღების შესახებ გენერალური დირექტორის მიერ შეგრობინების დღიდან. ყველა უარს და შენიშვნას, რომელსაც გენერალური დირექტორი მიიღებს ამ ვადის გასვლის შემდეგ ძალა არ ექნება.